საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010128796823013

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№68905

08 / ივლისი / 2013 წ.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ ხმალაძეს

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
საალ. № 30602
10 07 2013 ფურც. 2

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2013 წლის 28 ივნისის №18478/4-10 წერილით წარმოდგენილი, მოქალაქეების - ლაშა ტუღუშის, ზვიად ქორიძისა და ლიკა საჯაიას მიერ საკანონმდებლო წინადადების სახით შემუშავებული კანონპროექტები „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი, აღიარებს რა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპს, განსაზღვრავს, რომ ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. ამასთან, ეს უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას. აქვე მოცემულია ის გარემობები, რომელთა არსებობისას აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დასაშვებია. ასეთი გარემოებებია სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, თუმცა, ეს უკანასკნელი ფრაზა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ზიანი მიაყენოს ზოგადად ამ უფლების არსს და შექმნას საკანონმდებლო აქტით „გადაუდებელი აუცილებლობის“ ამსახველი შემთხვევების მეტისმეტად ფართოდ ჩამოყალიბების საფუძველი.

ასეთ პირობებში იუსტიციის სამინისტრო მიესალმება ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებას, რომელთა მიზანია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება და კანონმდებლობის ნორმათა იმგვარად ფორმულირება, რომელიც შესაძლებელს გახდის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებას, ერთი მხრივ, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპსა და, მეორე მხრივ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სხვა პირთა უფლებებისა და ღირსების დაცვის ან/და დანაშაულის პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს შორის. ამ კუთხით, წარმოდგენილი პროექტები, მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით, წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, ვფიქრობთ, საკითხის სრულყოფილად დარეგულირებისათვის საჭიროა მის მიმართ კომპლექსური მიდგომა და ამ მიზნით კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება, რომლის პროცესშიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა და დამკვიდრებული სტანდარტები.

პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი სახის ღონისძიებების

განხორციელების პროცესის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას, რომლებიც თავისი შინაარსით ადამიანის კონსიტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის მეტ შესაძლებლობას იძლევა. ამ მიზნით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა განხორციელების დროსაც, სხვა ღონისძიებებთან შედარებით, ბევრად უფრო დიდია ადამიანის კონსიტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის ხარისხი (ეს ის ღონისძიებებია, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის პირობებშიც მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება), უმჯობესია, აღარ მიეკუთვნებოდეს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროს, - ისინი უნდა აისახოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახით, რითაც აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება უზრუნველყოფილი იქნება სათანადო პროცესუალური გარანტიებით, მათ შორის, მაღალი ხარისხის სასამართლო კონტროლით და მისი შედეგების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ოპერატიულ-სამძებრო თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება, ადამიანის კონსიტიტუციურ უფლებათა შეზღუდვისა და მის პირად ცხოვრებაში ჩარევის ხარისხის მიუხედავად, უნდა ხორციელდებოდეს შემდეგი პრინციპების მკაცრი დაცვით:

- მათი განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით;

- ეს ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნების - ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებათა დასაცავად;

- აღნიშნული ღონისძიებების ფარგლები და მათ შედეგად მოპოვებული მონაცემები უნდა იყოს ამ ასეთი ღონისძიების ლეგიტიმური მიზნისა და ამოცანის პროპორციული.

დამატებით, კანონმდებლობაში უნდა დამკვიდრდეს ე.წ. „last resort“-ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებებით დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გარეშე არსებითად გართულდება სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

ზემოაღნიშნული პრინციპები უნდა აისახოს პროკურორის შუამდგომლობაში, რომლითაც ეს უკანასკნელი მიმართავს სასამართლოს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად, აგრეთვე - სასამართლოს განჩინებაში, რაც განაპირობებს ასეთი განჩინების კანონიერებას და დასაბუთებულობას.

ადამიანის კონსიტიტუციურ უფლებათა შეზღუდვისა და მის პირად ცხოვრებაში ჩარევისას ზემოაღნიშნული სტანდარტების განუხრელად დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ჩვენი სურვილია, რომ ამ პრინციპებს ასახავდეს საქართველოს კანონმდებლობაც.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოადგილე

ალექსანდრე ბარამიძე